институт их братских сторонников являются отражением грузинской действительности-крепостной зависимости средних веков. Многие эпитеты "Джвар-Хати" конкретизируют некоторые их функции. Они проясняют также происхождение божеств, их мощь и ареал распространения культа. Таковы старцы, божьи дети, предвещающие погоду божества, страж, которого почитают верующие и неверующие и др. Эпитеты и названия, художественные средства языка и символы такого рода в ...ьтовых текстах являются отражением общегрузинского художест...-религиозного и мифического сознания, которые отражались в народном устном творчестве, в религиозных обрядах и обычаях.

...е положения диссертации опубликованы в следующих

...вар-Хати. Тб., 1997.

...ких горных Тб., 1997.

3. ..."..." ... -духовная поэзия "..." Тб., 1992,

4. Мифическое и демоническое в романе Г.Ро...
душа". "Цис...вели ...", Тб., 1993,

5. Структура и генезис ...
...")". "Клдекари", Тб., ...

6. Культовые тексты ...
...ви", Тб., 1997, ...

1596

398
7-243

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

ხვთისო ილიას ძე მამისწვერიშვილი

# ჯვარ-ხატები საკულტო ტექსტებში

10. 01. 09 - ფოლკლორი

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1997

შემოსულია № 06
„16" 01 1998წ.

ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში

მეცნიერ-ხელმძღვანელი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი როსტომ ჩხეიძე

ექსპერტი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი აპოლონ ცანავა

ოფიციალური ოპონენტები:
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თემურ ჯაგოდნიშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ვიზო ფელიძე

წამყვანი ორგანიზაცია
თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი

დაცვა შედგება 1998 წლის „11" „დეკემბერს" „12[00]" საათზე შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის /P10.01 C №3/ სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში მისამართზე: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №5

ავტორეფერატი დაიგზავნა 9 ნოემბერს.

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი /ა. არაბული/

Библиотека
Тбилисского гос. педагогического института
иностранных языков
им. И. Чавчавадзе

-1596-



ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ზეპირსიტყვიერება და წეს-ჩვეულებები მუდამ აღძრავდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მკვლევართა და მოგზაურთა ცხოველ ინტერესს. იქ ბოლო დრომდე მტკიცედ იყო დაცული საზოგადოების არქაული ყოფა და ზეპირსიტყვიერების ტრადიციები, რომელიც მეტ-ნაკლებად დღესაც განაგრძობს არსებობას. ტრადიციული საზოგადოების სიტყვიერ ძეგლებში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი საწესჩვეულებო ზეპირსიტყვიერებას უკავია, რომელშიც ყველაზე ნათლად ვლინდება ფოლკლორის სინკრეტული ხასიათი.

ამ კუთხის საწესჩვეულებო ფოლკლორში უმთავრესია საკულტო ზეპირსიტყვიერება. საკულტო ტექსტები ჯვარ-ხატის კარზე აღევლინება და ისევე, როგორც ჯვარ-ხატი წარმოადგენს აბსოლუტურ სიწმინდეს, ასევე ღვთისშვილთა სადიდებლებიც საკრალური ნიშნით არის აღბეჭდილი. ჯვარი, ხატი და ღვთისშვილი, ხალხის რელიგიური ცნობიერების მიხედვით, ერთმანეთის სინონიმებია და ისინი აღნიშნავენ როგორც ამა თუ იმ თემის /საზოგადოების/ მფარველი და ბატონ-პატრონი წმინდანებს, ისე ამ წმინდანების მიწიერ საბრძანისს.

იმის გარკვევა, თუ რა რწმენა უდევს საფუძვლად აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა რელიგიურ ყოფასა და კულტმსახურებას, ერთგვარ სირთულესთან იყო დაკავშირებული ქართული ზეპირსიტყვიერების ისტორიასა თუ ეთნოგრაფიაში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პრობლემის ანალიზი დიდ მეცნიერულ სიფრთხილეს და ზომიერებას მოითხოვს, მაინც უნდა ითქვას, რომ საკულტო ტექსტები გვაძლევს მდიდარ და მრავალფეროვან მასალას ჯვარ-ხატების ფუნქციური ნიშან-თვისებებისა და ბუნების გასარკვევად. აღნიშნულ ძეგლებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ თვალსაზრისითაც, რომ, როგორც ბოლო ერთი საუკუნის მანძილზე ჩაწერილი საკულტო ტექსტების ურთიერთშედარება ცხადყოფს,